ხელშეკრულება № 2018/49
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი 2 მაისი 2018 წელი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველ ორგანიზაციად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, მერაბ ჯოჯუას სახით და **შპს „ბუკა-111",** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის, ტარიელ ჩხიკვაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი ორგანიზაცია" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისათვის დანართი N1-ის შესაბამისად მანდატურის სამსახურისათვის ზაფხულის უნიფორმის შეკერვისა და მოწოდების სახელმწიფო შესყიდვა (CPV – 182 000 00; 183 000 00).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1680,00 (ერთიათას ექვსას ოთხმოცი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის მიწოდების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.3. დაფინანსების წყარო: 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 5. მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. N49.

6.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მისაწოდებელი საქონლის ხარისხის კონტროლი და ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელი ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი - ზვიად ჭრიკიშვილი.

8.3. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების (მისაწოდებელი/მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადის) კონტროლს.

8.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. აქედან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 (ორი) – შემსყიდველ ორგანიზაციას. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება განხორციელდება წერილობით და ძალაშია ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის შემდეგ.

14.4. დანართი N1 თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8-10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე: მერაბ ჯოჯუა

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

მიმწოდებელი: შპს „ბუკა-111"
ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. N49
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445 393 805
მომსახურე ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE28 BG00 0000 0893 1183 00
ტელეფონის ნომერი: 593 31 61 17

შპს „ბუკა-111"-ს დირექტორი: ტარიელ ჩხიკვაძე

დანართი N1

შპს „ბუკა-111“

N	საქონლის დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	CPV კოდი
1	შარვალი ზაფხულის	ცალი	12	50,0	600,0	182 340 00
2	პერანგი ლოგოთი ზაფხულის	ცალი	24	45,0	1080,0	183 320 00
	ჯამი:				**1680,00**	

შპს „ბუკა-111“-ს დირექტორი: ტარიელ ჩხიკვაძე

შპს ბუკა-111 BUKA-111 404303805

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2018 წლის 02 მაისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისათვის მანდატურის სამსახურისათვის ზაფხულის უნიფორმის შესყიდვის მიზნით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „ბუკა-111“-თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე

მერაბ ჯოჯუა